

АКАКИЙ ШАНИДЗЕ – 100
ЮБИЛЕЙНЫЙ СБОРНИК

ТБИЛИСИ 1987

აკაკი შანიძე - 100
საიუბილეო კრებული

თბილისი 1987

#106

ბესარიონ ჯორბენაძე

მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის

გამოხატვა ძველ ქართულში

მოქმედების დაწყებითობის ფუნქცია ძველ ქართულში ძირითადად აღწერთად გამოიხატებოდა.

დაწყებითობის (ინხოატივის) აღწერთი გამოხატვა არც ახალი ქართულისთვისაა უცხო: „ტირილი დაიწყო“, „ბრუნვა დაიწყო“, „სიმღერა დაიწყო“... „ტრიალი დააწყებინა“, „ბრუნვა დააწყებინა“... ამ რიგის შესიტყვებებით სწორედ მოქმედების დაწყებითობის ფუნქციაა გამოხატული.

ეს შესაძლებლობა ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე იქნა საკმაოდ ინტენსიურად გამოყენებული:

„ფიცხლად ზედა შევეჯახე, მათ დაიწეს ამოდ ცურვა“ („ვეფხისტყაოსანი“).

„ძალმან ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა, ყივილი დაიწყო“
(სულხან-საბა ორბელიანი).

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვეულებრივი ტიპის შემასმენელისა და უშუალო (პირდაპირი) ობიექტის ურთიერთობასთან — ერთი თავისებურებით: უშუალო ობიექტად მასდარია (ტირილი, ყვირილი, სიმღერა...) გამოყენებული, ან — მასდართან გატოლებული არსებითი სახელი (თამაში, ვარჯიში, ჩხუბი...). ეს კი შესაძლებლობას იძლევა ზმნა (დაიწყო || დააწყებინა) ნებისმიერი ნაკვთის ფორმით იქნეს წარმოდგენილი:

ტირილს } იწყებს, იწყებდა, იწყებდეს;
 } დაიწყებს, დაიწყებდა, დაიწყებდეს;

#107

ტირილი } დაიწყო, დაიწყოს;
 } დაუწყია, დაეწყო, დაეწყოს...

ასევე:

ტირილს } აწყებინებს, აწყებინებდა, აწყებინებდეს;
 } დააწყებინებს, დააწყებინებდა...

ტირილი } დააწყებინა, დააწყებინოს;
 } დაუწყებინებია...

კონსტრუქცია ორივე შემთხვევაში მოქმედებითი გვარისაა ერთ შემთხვევაში არაკაუზალური („ტირილი დაიწყო“), მეორე შემთხვევაში — კაუზალური („ტირილი დააწყებინა“). ოღონდ ეგაა: ორგანული წარმოების ფორმებით მათი შეცვლისას არაკაუზალური უკუქცევითი შესიტყვება ვნებითის კონსტრუქციას იძლევა

(„ტირილი დაიწყო“ > „ატირდა“), კაუზალური შესიტყვება - მოქმედებითის კონსტრუქციას („ტირილი დააწყებინა“ > „აატირა“).

ძველ ქართულში პოვნური აღწერითი წარმოება კი სულ სხვა რიგისაა. აქ გამოყენებული იყო ის სპეციფიკური კონსტრუქცია, რომელსაც უწოდებენ „მასდარულ კონსტრუქციას“ (12, 462) ან „ინფინიტურ კონსტრუქციას“ (11, 41 – 42). ესაა „იწყო“ ზმნა შეხამებული ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდართან:

„იწყო დასულებად და ურვად“ || „იწყო გულის სიტყუად და ურვად“ (მარკოზ, 14, 33). „მაშინ იწყო თაყუანის ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდიითა“... (26, XII, 7-8). „მოუტდეს ქრისტესა ზედა და იწყეს ცემად და კიცხვად მისთა დინებად“ (15, ნბ, 8-9). „უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შწნებად და წმიდათა ეკლესიათა“ (15, ი, 42-43). „იწო ქროლად მის თანა ქარმან მან ბორბალამან (24; 27, 14). „იწყო იესუ სიტყუად“ (მათე, 11, 7). „იწყეს ყივილად და იტყოდეს“ (1, 466). „იწყო ტირიდ“ (მარკოზ, 14, 72). „აღიჩჳა გული და იწყო ტირილად“ (13, 56, 29). „და ყვრიდ იწყეს, რამეთუ განრინებაჲ ჰნებავენ და ვერ

#108

ჴელეწიფებინ“ (23; 176, 33-34). „და წარიყვანა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად“ || „იწყო ზრუნვად და ურვად“ (მათე, 26, 37).

შენიშვნა: ტირილ-ი, ყვირილ-ი, ყივილ-ი... ვითარებით ბრუნვაში ორგვარად გვხვდება: ყვირილად || ყივიდ, ტირილად || ტირიდ, ყვირილად || ყვირიდ. ძველი ქართულის ნორმაა ყივიდ, ტირიდ, ყვირიდ...

მასდარი, ჩვეულებრივ, ვითარებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი; ზოგჯერ შესაძლოა შეგვხვდეს სახელობითი ან მიცემითი ბრუნვის ფორმითაც:

სახელობითი: „იწყო მისა კითხვაჲ (= კითხვად)“, (24; 8.30).

მიცემითი: „იწყეს სულისა ცხორებისა ზრახვასა (= ზრახვად); (15; 60-61).

შენიშვნა: სახელობითში დასმული მასდარის გამოყენება ამ რიგის კონსტრუქციებში ნორმაა ახალი ფორმით, მაგრამ უპირატესად II და III სერიის და ნაკვეთებში გვხვდება.

აწმყო: „მანანა იწყებს წვამდ შაბათსა აღვსებისასა დიდსა“ (11, 46).

ნამყო ძირითადი: „იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად“ (26, VIII, 10).
„იწყეს მწუხარებით ღალადებად“ (20; 17, 7).

II კავშირებითი: „ყოველთა დაამტკიცეს, რათა მუნ იწყონ შწნებად ეკლესიისა“ (21; 198, 11-12).

II ხოლმეობითი: „ყვრიდ იწყის...“ (23; 176, 33).

II ბრძანებითი: „იწყე მისა მიმართ ღუაწლი ბრძოლისა“ (1, 553).

I შედეგობითი: „უწყის (= დაუწყია) მას სვლად გზასა მას იწროსა“ (18; 153, 4).
„და ეგრე ეგონა მას, ვითარმედ აწლა უწყის ქრისტეს მიერსა მას ცხოვრებასა (=ცხოვრებად) მონაზონებისასა“ (4, 208).

#109

შეუზღუდავად იწარმოება ყველა პირის ფორმაც:

„ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად“ (26, X, 14-15) – I პირი.

„იწყე მისა მიმართ ღუაწლი ბრძოლისა“ (1, 553) – II პირი.

„იწყო ქროლად მის თანა ქარმან მან ბორბალამან“ (24; 27, 14) – III პირი.

ანალოგიური ვითარებაა ობიექტური პირების გამოხატვის დროსაც:

„რა შემომხედნის, შევხედნი, ცეცხლმან დამიწყეს შრეტასა (= შრეტად)“;
(„ვეფხისტყაოსანი“) – I ობიექტური პირი...

მასდარულ (ინფინიტურ) კონსტრუქციაში ჩადებული აზრი შეიძლება გამოიხატოს რთული ქვეწყობილი წინადადებითაც: „ჰლოცვიდა ფილიპეს აღსვლად და დაჯდომად მის თანა“ იგივეა, რაც: „ჰლოცვიდა იგი ფილიპეს, რათამცა აღწდა იგი და დაჯდა მის თანა“ (24; 8, 31). „მაშინ იესუ აღიყვანა სულისა მისგან უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან“ || „მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ, რათა

გამოიცადოს ეშმაკისაგან“ (მათე, 4, 1); (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. 9, 426; 7, 143; 11, 69).

არის შემთხვევები, როცა პარალელური კონსტრუქციები წარმოდგენილია ერთ წინადადებაში; „უკუეთუ სათნო არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემთვის, რადთა არა განმამოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა შენსა“ (სერაპიონ ზარზმელი). ერთმანეთის გვერდითაა „ევედრე, რადთა არა განმამოროს“ და „(ევედრე) ხილვად“ (12, 467). თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია ეს სხვაობა იმანაც გამოიწვიოს, რომ პირველი კონსტრუქციით უარყოფის მნიშვნელობაა გამოხატული: „ევედრე, რადთა არა განმამოროს“; შდრ.; „ევედრე განშორებად“.

ამ რიგის პარალელური კონსტრუქციები ხშირია ძველ ქართულში ბრძანა, განიზრახა, აიძულა, არწმუნა, იკადრა, ნებავს || ინება, შესძინა, შეუძლო, აცადა, კელყო... ზმნებთან. „ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს „იწყო“ ზმნა. მასთან დაკავშირებული ინფინიტივი (იწყო შენებად, იწყო ქროლად...) არასდროს არ გვაძლევს დამოუკიდებელ წინადადებას“ (11, 69); შდრ.:

ერთი მხრივ: „ბრძანა შენებად იგი“ = „ბრძანა, რადთა ააშენოს

#110

იგი“; „იზრახა განტევებად იგი“ = „იზრახა, რადთა განუტევეოს იგი“;

მეორე მხრივ: „იწყო შენებად“ (დაუშვებელია: „იწყო, რადთა ააშენოს“).

ესეც მხარს უჭერს იმ ვარაუდს, რომ „იწყო შენებად, ტირიდ...“ სპეციფიკური სინტაქსური ყალიბია დაწყებითობის (ინხოატივის) გადმოსაცემად, წარმოქმნილი მასდარული (ინფინიტიური) კონსტრუქციის ბაზისზე. ეს უკანასკნელი კი ძველი ბერძნულის ინფინიტიური კონსტრუქციის მიდევნებითაა შექმნილი; შდრ.: „იწყო იესუ ყოფად და სწავლად“ (24; 1, 1) – „σὺ ἤρξατο δὲ Ἰησοῦς ποιεῖν τε καὶ διδάσκειν“.

შენიშვნა: მასდარულ (ინფინიტიურ) კონსტრუქციებში უნდა გამოიყოს მიზნის (დანაშინულების) გამომხატველი სტრუქტურები, რომლებიც დღესაც ფართოდაა

გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, ზემორაჭულში...): წავიდა ნადირობად, დავჟდებით ჭამად, მოვიდნეს მოშველებად... გვხვდება ინგილოურში: გაგზავნა ნადირობად... სალიტერატურო ენასა და დიალექტების დიდ ნაწილში ამ მიზნით გამოყენებულია მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობა ვითარებითი ბრუნვის ფორმით: წავიდა სანადიროდ, დავსხდებით საჭმელად, მოვიდნენ მოსაშველებლად, გაგზავნა სანადიროდ... (10, 45). ამ დანიშნულებისაა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ძველ ქართულშიც მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან: გავიდა თხრობად, შევალს ხილვად, გარდამოვიდეს მოწყუედად, წარმოვიდეს განყოფად... ნიშანდობლივია, რომ დიალექტებშიც ძირითადად მოძრაობის გამომხატველი ზმნები ემნიან ამგვარ კონსტრუქციებს. შდრ.: „ბრძანა შენებად“, რომელიც იძლევა „ბრძანა შენება“ შეხამებას, „იწყო შენებად“ > „იწყო შენება“... ასე რომ, ამ ორ კონსტრუქციას შორის („წავიდა ნადირობად || ნადირობ“ და „იწყო ნადირობად || ნადირობა“) ხელშესახები სხვაობაა როგორც გრამატიკული მნიშვნელობის, ასევე კონსტრუქციული გარდაქმნების (ტრანსფორმაციების) თვალსაზრისით.

აღინიშნა, რომ „იწყო“ ზმნით შედგენილი მასდარული კონსტრუქცია არ გარდაიქმნება რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციად.

#111

გარდაქმნის თვალსაზრისით მას სხვა თავისებურება ახასიათებს: ამ რიგის აღწერით წარმოებას ძველ ქართულში შესაძლოა შეენაცვლოს ნამყო უსრულის პირადიგმა:

„იწყეს ვედრებად მისა წარსვლად
საზღვრით მათით“.

„ეკედრებოდეს მას, რადთა წარვიდეს
საზღვართაგან მათთა“ (მარკოზ, 5, 17).

„მივიდა ფილიპე და იწყო სმენად“. „მივიდა ფილიპე და ისმენდა მისსა“
(24; 8, 30).

„იწყო მეუნქუესვე შესაკრებელთა მათ „მესეულად შესაკრებელთა შინა
ქადაგებად“. ქადაგება“ (24; 9, 20).

„იწყეს თხრობად სიტყუაჲ იგი“. „უთხრობდეს სიტყუასა მას“
(24; 13, 5; 8, 55).

მიუხედავად ამგვარი მიმართებებისა, არ შეიძლება ითქვას, რომ აქ სრულ
სემანტიკურ თანხვედრასთან გვაქვს საქმე.

რატომღა გახდა შესაძლებელი ამგვარი მონაცვლეობა?

მოქმედების დაწყებითობა (ინხოატივი) თავისთავად გულისხმობს, გარდა
მოქმედების დასაწყისის აღნიშვნისა, მოქმედების განგრძობითობას:

„იწყეს ვედრებად (> დაიწყეს ვედრება)“ = მოქმედების დასაწყისი + სრულობა +
განგრძობითობა.

შენიშვნა: ამ ფორმის სხვა სემანტიკური მახასიათებლები (ნამყო დრო,
თხრობითი კილო, გარდამავლობა...) ამჯერად შეიძლება ყურადღების მიღმა
დავტოვოთ: საკვლევი საკითხის ასახსნელად ისინი არაფერს იძლევიან.

ნამყო უსრულის ფორმა ერთი გრამატიკლი მნიშვნელობით თანხვედება
ზემოხსენებულს:

„ევედრებოდეს (> ევედრებოდნენ)“ = უსრულობა + განგრძობითობა.

გარკვეულმა სემანტიკურმა სიახლოვემ (ორივე გამოხატავს განგრძობით
პროცესს) შესაძლებელი გახდა ორი პარალელური სტრუქტურის თანაპოვნირება.

ერთი და იმავე ტექსტის პარალელური ვერსიები შეიძლება საკმაოდ
დაცილებულიც იყვნენ ერთმანეთისაგან გრამატიკული მნიშვნელობის
თვალსაზრისით:

#112

„იწყო მან თხრობად“, შდრ.: „და მითხრა ჩუენ“ (24; 11, 13).

ორივე სრული ასპექტის ფორმაა („იწყო თხრობად“ და „მითხრა“), მაგრამ იმავდროულად მკვეთრად განსხვავებულიც მოქმედების ფინალობა-დაწყებითობის მიხედვით: „იწყო თხრობად“ ინხოატივს (დაწყებითობას) გამოხატავს, „მითხრა“ — ფინალობას. მიუხედავად ამისა, გადამკვეთი მნიშვნელობის მქონებლობამ (ამ შემთხვევაში — მოქმედების სრულობა, ნამყო დრო...) შესაძლებელი გახდა მათი ურთიერთშენაცვლება...

„იწყო“ ზმნით შედგენილი მასდარული კონსტრუქციები ორი სახისაა.

1) ცალკე უნდა გამოიყოს ის კონსტრუქციები, რომლებიც დაწყებითობას (ინხოატივს) მხოლოდ აღწერითად აწარმოებენ. ასეა ძველ ქართულშიც და ახალ ქართულშიც, ოღონდ ამ კონსტრუქციებმა (აღწერითმა ფორმებმა), ძველ ქართულთან შედარებით, ახალ ქართულში გარკვეული ცვლილება განიცადეს — მასდარი ვითარებითის ნაცვლად მიცემითი ან სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, რადგან უშუალო (პირდაპირ) დამატებად გაიაზრება და შესაბამისი მორფოლოგიური მოქცევა ახასიათებს: „იწყებს შენებას“, მაგრამ: „(და-)იწყო შენება“...

იმავდროულად გასათვალისწინებელია ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი: ძველ ქართულში გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოებ მასდარებს თან ახლდა სახელი, რომელიც სემანტიკურად უშუალო ობიექტის ფარდი იყო: „იწყო შენებად ტაძარი || ტაძარსა || ტაძრისა“; შდრ.: „ააშენა ტაძარი“. სწორედ ეს ფორმა („ტაძარი“), რომელიც ზმნურ კონსტრუქციაში ფორმითაც და სემანტიკურადაც უშუალო ობიექტია, გადადის მასდარულ (ინფინიტიურ) კონსტრუქციაში უკვე როგორც სემანტიკური უშუალო ობიექტი (თუმცა ფორმობრივ, მორფოლოგიურად, იგი ადარ შეიძლება იყოს ამ დანიშნულებისა). ახალ ქართულში ამ ტიპის სემანტიკური ობიექტი მსაზღვრელად გაიაზრება: „დაიწყო შენება ტაძრისა“. განსაზღვრავს იგი მასდარით გამოხატულ უშუალო ობიექტს („შენება ტაძრისა“). ამან კი ახალი ქართულისათვის უფრო ბუნებრივი გახდა წყობა: „დაიწყო ტაძრის შენება“.

#113

ძველ ქართულში მასდარის თანმხლები სახელი (სემანტიკური უშუალო ობიექტი) შესაძლოა წარმოდგენილი ყოფილიყო სამი ბრუნვის — სახელობითის, მიცემითისა და ნათესაობითის — ფორმით (9, 427; 8, 53; 11, 78 – 79).

სახელობითი: „იწყეს თხრობად სიტყუად იგი“ (24, 13, 5).

მიცემითი: „იწყო კაცმან შენებად სახლსა“ (3, 672).

„მიერთოგა იწყეს ძიებად ადგილსა“ (6, 163).

ნათესაობითი: „მას ჟამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა“ (15, ი, 41-43).

შენიშვნა: დამოწმებულია შემთხვევები, როცა სახელობითში, მიცემითსა ან ნათესაობითში დასმული სახელები ერთმანეთის პარალელურად იპოვებიან ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ვერსიაში: „მოძიებად ვალს ჰეროდე და წარწყმედად ყრმასა მაგას“ || „ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმედად ეგე“ (მათე, 2, 13; იხ.: 3, 687).

ამის მიხედვით, ძველ ქართულში დასაშვებია:

- ა) „იწყო შენებად მონასტრები“;
- ბ) „იწყო შენებად მონასტრებსა“;
- გ) „იწყო შენებად მონასტრებისა“.

მიზეზი ამგვარი მერყეობისა ადვილად აიხსნება: სახელობითი და მიცემითი გამოხატულებაა უშუალო ობიექტის ბრუნვებისა: ზმნურ კონსტრუქციაში ეს ბრუნვები იმის მიხედვით ნაწილდება, თუ რომელი სერიის ზმნის ფორმას ეხამება („აშენებს მას“ — „ააშენა იგი“). მასდარულ კონსტრუქციაში ამ მოვლენის გამოძახილთან გვაქვს საქმე (11, 81). რაც შეეხება ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, აქ უკვე საკუთრივ მასდარული კონსტრუქციის თავისებურებას ეწევა ანგარიში, რაც შესაბამის გარდაქმნას იწვევს კონსტრუქციაში. დამთავრდა იგი ახალ ქართულში

არსებული ვითარებით: ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი მსაზღვრელად იქნა გააზრებული: „დაიწყო მონასტრების შენება“ (იხ. ზემოთ)*.

#114

შენიშვნა: დასაშვები იყო მასდართა ირიბი ობიექტის პოვნად: „ამისთვისცა არა გიტევე შენ შეხებად მას“, აგრეთვე ერთდროულად უშუალო და ირიბი ობიექტებისა: „ბრძანა მიცემად იგი მას“ (6, 163).

2) მეორე რიგის აღწერითი კონსტრუქციების პარალელურად იპოვება ორგანული წარმოების ფორმებიც: „იწყო ტირიდ (= დაიწყო ტირილი)“ || „ატირდა“. ამ შემთხვევაში (ზემოდასახელებულისაგან განსხვავებით), ჩვეულებრივ, არ იხმარება მასდარის თანმხლები სახელი, რომელსაც უშუალო ობიექტის ფუნქცია აქვს. თუმცა არსებითად დასაშვებია „იწყო ყვრიდ იგი || მას“; შდრ.: ყვრის ის მას“, სადაც „მას“ უშუალო ობიექტია („იყვრა მან ის“)...

როგორც ჩანს, იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ამ რიგის კონსტრუქციათა შემადგენელი მასდარები, როგორც წესი, სტატკური („საშუალო“) ზმნებისაგან იწარმოება:

„იწყო ქროლად მის თანა ქარმან მან ბორბალამან“ (24; 27, 14). „იწყეს ცრემლთა მისთა დინებად“ (15, ნბ, 8-9). „იწყეს ყივილად და იტყოდეს“ (1, 466). „იწყო ტირიდ“ (მარკოზ, 14, 72). და ყვრიდ იწყის“ (23; 176, 33).

მოქმედების დაწყებითობის მნიშვნელობები ამ შემთხვევაში შესაძლოა გამოიხატოს ორგანული წარმოების ფორმებითაც:

„იწყო ქროლად“ = „აქროლდა“

„იწყო დინებად“ = „ადინდა“

„იწყო ტირიდ“ = „ატირდა“

„იწყო ყივილად“ = „აყივლდა“

„იწყო ყვრიდ“ = „აყვრდა“...

* შდრ.: რუსულში: начал строить монастыри||начал строительство монастырей. ეს უკანასკნელი ზუსტი შესატყვისია ქართული კონსტრუქციისა: „დაიწყო მონასტრების შენება“.

ითქვა: „შესაძლოა გამოიხატოს“, და ზოგადად (ენობრივი პოტენციის თვალსაზრისით) ეს მართლაც ასეა, მაგრამ კონკრეტული ნიმუშები, არაა გამორიცხული, სხვაგვარ ვითარებასაც გვიჩვენებდნენ. მაგალითად, „აქროლდა“, „ადინდა“ ენობრივად დასაშვები ფორმებია, მაგრამ ფრიად იშვიათი გამოყენებისაა, თანაც „აქროლდა“ სხვა მნიშვნელობის გამოსახატავადაც გამოიყენება: „აორთქლდა“

#115

და მაშინ აქ მოქმედების ფინალურობასთან გვაქვს საქმე და არა დაწყებითობასთან. იპოვება ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსალოდნელი ორგანული ფორმა ენაში არაა ნაწარმოები. მაგალითად, არ გვხვდება *აგმინდა, *აღრინდა, *აჭმუნდა... (შდრ.: გმინვა, ღრენა || ღრინვა, ჭმუნვა... დაიწყო). ზოგჯერ კი დაწყებითობის ნაცვლად ფინალობაა გამოხატული: აფეთქდა, აფოფხდა, ახოხდა, აცოცდა... თუმცა მათი არც დაწყებითობის ფუნქციის გამოსახატავად გამოყენებაა მოულოდნელი: ახოხდა = ხოხვა დაიწყო, ალოღდა = ლოღვა დაიწყო, აცოცდა = ცოცვა დაიწყო...

ზემოთ აღინიშნა, რომ ძველ ქართულში მოქმედების დაწყებითობის გამოსახატავად ძირითადად აღწერითი ფორმებია გამოყენებული. მაგრამ ძველ ქართულშივე იპოვება ამ დანიშნულებით ნახმარი ორგანული წარმოების ფორმებიც. გამოიხატება ეს ფუნქცია როგორც ვნებითი, ასევე მოქმედებითი გვარის ყალიბებით.

ვნებითში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიყენება სუფიქსიანი წარმოების ფორმები (როგორც -ენ || ნ, ასევე -დ სუფიქსებით ნაწარმოები).

1) -ენ || -ნ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები:

„მას ჟამსა აღ-ჟღავ-ნ-ეს (= აჟღავდნენ, აშფოთდნენ), რომელნი-იგი გარეემოს იდგეს“ (17; 137, 27). „და იგი უფროსდღა აღბორგ-ნ-ა (= აბორგდა) და შესძინა სიბრძმე სიბრძმეს ზედა“ (15, 20, 24). „არა ეგების ზღვსაგან, უკუეთუმცა არა აღელდა და აღშფოთ-ნ-ა“ (1, 13). „უკუეთუ ექენებოდი, აღ-ზუავ-ნ-ეს“ (22; 214, 16).

2) -დ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები:

„აღ-ბორგ-დ-ა კარაუკი იგი და გარდამოაგდო იგი ქუეყნად“ (17; 337, 20). „დედაკაცსა ბოროტსა აგინებდე თუ, აღ-გ-ი-ბორგ-დ-ე-ს (22; 214, 16-16). „არა ეგების ზღვსაგან, უკუეთუმცა არა... ა-ღელ-დ-ა და აღშფოთნა“ (1, 13). „მაში ა-ზრახ-დ-ა (=ალაპარაკდა) იგი ბერძნულითა ენით განმარტებლად“ (5, 38). „აღ-მტკივ-დ-ა ოდესმე თუალი“ (1, 22).

დასახელებული ვნებითების შესაბამისი მოქმედებითებიც ასევე გამოიყენება მოქმედების დაწყებითობის გამოსახატავად:

„მაჭირვებს მუცელი ჩემი და აღავსო რად იგი, აღ-ა-ბორგ-ებ-ს

#116

ჯორცთა ჩემთა“ (1, 12). „აღ-აშფოთ-ებ-დ-ე-ს სულთა თქუენტა“ (1, 24)...

მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის გამომხატველი ფორმები მრავლად იპოვება „ვეფხისტყაოსანშიც“. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს.

1) მოქმედებითი გვარის ფორმები:

„როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი“ (146, 4).

„გლოვა ცვალა სიხარულად, აღარავინ აატირა“ (1634, 4).

„მათნი ყმანი აატირნა, მისნი ყმანი ამაყარნა“ (617, 4).

„სიხარულმა ამაჩქარა, ამათრთოლა, და-ცა-მღეწა“ (627, 1).

2) ვნებითი გვარის ფორმები:

„აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა“ (1329, 1).

„კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულ-ნალმობარია“ (244, 4).

„მუნ ატირდეს ყველაკანი, რა ტირილად იგი ნახეს“ (1457, 1).

„ისმედიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან“ (967, 3).

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმები:

„მოხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს“ (645, 3).

„მოვეგებვი, მომეგებვის, ატირდეს და ამატიროს“ (883, 3)...

ზემოხსენებული შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ: მოქმედების დაწყებითობის (ინხოატივის) ფუნქცია ძველ ქართულშივე ხელშესახებად არის წარმოჩენილი, იმავდროულად დაპირისპირებულია ფინალობის ფუნქციასთან. გამოიხატება იგი აღწერითი და ორგანული წარმოების ფორმებით: „იწყო ტირიდ || ტირილად“ — „ატირდა“. ზოგ შემთხვევაში გამოხატვა მხოლოდ აღწერითად ხერხდება („იწყო შენებად“), ზოგჯერ — პარალელური წარმოება გვაქვს (დასახელებული „იწყო ტირიდ“ || „ატირდა“). პარალელური წარმოების ფორმათაგან თანდათანობით მეტ გავრცელებას იძენს ორგანული ფორმები (აღბორგდა, აგრგვინდა, ატირდა...); ახალი ქართული უკვე ამკვიდრებს იმას, რაც ძველ ქართულში გარკვეულ ინოვაციად მოჩანს.

#117

მითითებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.
3. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
4. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963.
5. ი. იმნაიშვილი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, თბ., 1968.
6. ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
7. ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969.
8. ა. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბ., 1955.

9. თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

10. არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბ., 1953.

11. დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972.

12. შ. ძიმიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973.

13. ბალავარიანის ქართული რედაქციები (გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ; ა. შანიძის რედაქციით), თბ., 1957.

14. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957.

15. შრომა და მოღვაწეობა ღირსად-ცხოვრებისა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმადრიტისა და ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართა; წიგნში: Георгий Мерчуле, Жизнь Св. Григория Хандзтийского, Введение, издание. Перевод Н. Марра, С.-Петербург, 1911.

16. მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია (ი. იმნაიშვილის გამოცემა), თბ., 1953.

17. კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები (გამოსცა კ. კეკელიძემ), I, ტფ., 1918.

18. მამათა სწავლანი (გამოსცა ილ. აბულაძემ), თბ., 1955.

19. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია (გამოსცა აკაკი შანიძემ), თბ., 1945.

20. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები (ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ), თბ., 1955.

21. ცხორება და მოქალაქეობა სერაპიონ ზარზმელისა; ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I (კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით), ტფ., 1935.
22. სინური მრავალთავი 864 წლისა (აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით), თბ., 1959.
23. შატბერდის კრებული X საუკუნისა (გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა), თბ., 1979.
24. საქმე მოციქულთა (გამოსცა ილ. აბულაძემ), თბ., 1950.
25. ცხოვრება საბა ასურისა (ს. ჯანაშიას გამოცემა, არილი), ტფ., 1925.
26. იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი (ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ), ტფ., 1938.

ДЖОРБЕНАДЗЕ Б. А.

**ВЫРАЖЕНИЕ ФУНКЦИИ НАЧИНАТЕЛЬНОСТИ
ДЕЙСТВИЯ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ**

Резюме

В древнегрузинском языке функция начанательности действия выражается двумя способами: а) описательно: იწყო ტირიდ ic'q'o t'irid «начал плакать»; б) органически: ატირდა at'irda «заплакал». Из названных параллельных образований со временем распространяется органический способ выражаения функции начанательности действия.

